

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მერაბ ცირდავა

მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანალმდგენი
ღუმელების ოპტიმალური ელექტრული პარამეტრების
შემუშავება, კვლევა და სამრეწველო ათვისება

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2012 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მეტალურგიის,
მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის
შავი ლითონების მეტალურგიის მიმართულებაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ზურაბ სიმონგულაშვილი

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის „-----“ -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----
----- ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 69.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში, ხოლო
ავტორეფერატის – ფაკულტეტის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი -----

სამუშაოს ზოგადი დახასიათება

ჩვენი ქვეყნის მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოების არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შენადნობების მიღება და მათი ხარისხის გაუმჯობესება როგორც დიდ, ასევე მცირე და საშუალო სიმძლავრის დუმელებით აღჭურვილ მინი-საწარმოებში, რომელთა როლი და მნიშვნელობა ბოლო წლებში განუხრელად იზრდება.

თავისი მაღალეფებში გამო თანამედროვე, ახალი მინი-საწარმოების განთავსების და ფუქნციონირების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა. საბაზო ეკონომიკის პირობებში მინი ქარხნების მუშაობის პრაქტიკამ, დიდ ქარხნებთან შედარებით, გვიჩვენა მისი მაღალი ეფექტურობა, მანგრულობა და მომხმარებლის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი. ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანარგვის სიადვილე, დაბალი კაპიტალური, მატერიალური და ენერგეტიკული დანახარჯები, მათი განლაგების შესაძლებლობა სატრანსპორტო მაგისტრალების სიახლოეს, აი ის უპირატესობები, რომლებიც ასეთ ქარხნებს გააჩნიათ. აღნიშნული ქარხნები იყენებენ რა უფრო სუფთა ტექნოლოგიურ პროცესებს, მათ შესაძლებლობა ეძლევათ მნიშვნელოვნად შეამცირონ გარემოს დაცვისათვის განკუთვნილი ხარჯები.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 10 მინი-ფეროშენადნობთა ქარხანა, რომლებშიდაც დამონტაჟებულია 2,5-9,0 მვა სიმძლავრის დუმელები, რომელთა ჯამური სიმძლავრე 70 მვა აღემატება. ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თითქმის ყველა ეს საწარმო აშენდა ქაოტურად, ყოველგვარი პროექტირების, ტექნიკო-ეკონომიკური, ელექტრული, გეომეტრიული და ტექნოლოგიური პარამეტრების მეცნიერული დასაბუთების გარეშე. რადგანაც ბოლო ათწლეულებში ფეროშენადნობთა წარმოების აქცენტი გადატანილი იყო მძლავრი და ზემძლავრი დუმელების დაპროექტებაზე და ათვისებაზე, ამიტომ ლიტერატურაში არ მოიპოვება ან მეტად მწირია მონაცემები მცირე და საშუალო სიმძლავრის დუმელების პარამეტრებზე და მათში მიმდინარე პროცესების თავისებურებებზე.

ამრიგად, სამუშაოში დასმული პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანთერმული ღუმელებისათვის დამუშავდეს და შეირჩეს ოპტიმალური პარამეტრები. იმის გათვალისწინებით, თუ რა როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში ასეთი მინი-საწარმოები და მათი ზრდის პერსპექტივები – ნათელია და დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა.

სამუშაოს მიზანი:

მდგომარეობს მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანალმდგენ ღუმელებში სილიკონმანგანუმის მიღების ტექნოლოგიის სრულყოფა მეცნიერულად დასაბუთებული ელექტრული, გეომეტრიული და ტექნოლოგიური პარამეტრების ოპტიმიზაციით, რომელიც უზრუნველყოფს მანგანუმის ამოკრეფის გაზრდას და დნობის სხვა ძირითადი მახასიათებლების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, მომზადდეს შესაბამისი ტექნიკური დავალება და გაიცეს რეკომენდაციები პროექტირებისათვის.

კვლევის ძირითადი ამოცანები:

- სხვადასხვა სიმძლავრის მაღანალმდგენ ღუმელებში სილიკონმანგანუმის გამოდნობის ტექნოლოგიური თავისებურებების ანალიზი, ღუმელში გამავალ დენებთან და გეომეტრიულ ზომებთან კავშირში.
- მადნების, კონცენტრატების, სხვადასხვა ნახშირბადშემცველი აღმდგენელების და კაზმების ელექტროწინაღობების გამოკვლევა.
- მაღანალმდგენ ღუმელებში ელექტრული ველების განაწილება და მისი გავლენის შესწავლა სილიკონმანგანუმის მიღების პროცესზე.
- მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანალმდგენი ღუმელების ოპტიმალური ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრების დადგენა და მათი განსაზღვრის რაციონალური მეთოდების შემუშავება.
- სილიკონმანგანუმის და დაბალფოსფორიანი წილის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება და ათვისება მცირე სიმძლავრის ღუმელებში სხვადასხვა მადნების, წარმოების ნარჩენების და აღმდგენელების გამოყენებით.

კვლევის მეთოდები:

დასმული პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი მეთოდი მდგომარეობს უკვე არსებული, კარგად მომუშავე დუმელების პარამეტრების გაანალიზებაში და ცალკეული მონაცემების გაუმჯობესებაში მეცნიერული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

მეცნიერული სიახლე:

თეორიული დასაბუთებით და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე პირველად იქნა შესწავლილი მცირე და საშუალო სიმძლავრის მადანადმდგენ ღუმელებში ელექტრული დენების განაწილება და მისი გავლენა აბაზანის საერთო ელექტროწინაღობაზე. ასეთი ღუმელებისათვის შემუშავდა ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრების გამოთვლის ახალი, გამარტივებული მეთოდი. ანალიტიკური დამოკიდებულებების, პროცესის მოდელირების და ექსპერიმენტული სამრეწველი დნობების საფუძველზე ნაჩვენებია ღუმელების სიმძლავრის გაზრდის პრაქტიკული შესაძლებლობა და ელექტროტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება მხოლოდ აბაზანის ელექტროწინაღობის და ძაბვის გაზრდის საშუალებით, ელექტროდის დიამეტრის გაუზრდებად.

სამუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობა: დისერტაციაში დასმული პრობლემის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს დავამუშაოთ ტექნიკურად სრულყოფილი და ეკონომიკურად გამართლებული მცირე და საშუალო სიმძლავრის მადანადმდგენი ღუმელების პროექტები, გავაუმჯობესოთ და დავხვეწოთ მანგანუმიანი ფეროშენადნობების მიღების შესაბამისი ტექნოლოგიები. მშენებარე ღუმელებისათვის გავცეთ ტექნიკური დასაბუთებები, მოდერნიზაცია გაუკეთოთ უპმ არსებულ ღუმელებს, რათა მათი ტექნიკო-ეკონომიკური მახასიათებლები შეესაბამებოდეს ტექნიკის და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნებს.

თუ გავითვალისწინებთ ადგილობირვი მინი-საწარმოების რაოდენობას და მისი ზრდის პერსპექტივებს, აგრეთვე ჩვენი მეზობელი ქვეყნების დაინტერესებას აღნიშნული პრობლემით, რომლებსაც ფეროშენადნობთა წარმოების ჩვენზე გაცილებით ნაკლები ტრადიციები

და გამოცდილება აქვთ, ნათელი ხდება შექმნილი პროდუქტით (პროექტებით) ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების დაინტერესება.

სამუშაოს აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა და განხილულ იქნა: „საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე” (თბილისი, 2009წ.), საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები” (ქუთაისი, 2010წ.), საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე „გარემოს და ცვა და მდგრადი განვითარება” (თბილისი, 2010წ.).

პუბლიკაციები: სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი დებულებები და შედეგები გამოქვეყნებულია 11 სამეცნიერო ნაშრომში.

სამუშაოს მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ოთხი თავი და დასკვნა. შეიცავს რეზიუმეს, შინაარსს, 31 ნახაზს, 14 ცხრილს, 10 სურათს, ციტირებული ლიტერატურის ნუსხას 99 წყაროს დასახელებით და 3 დანართს. დისერტაცია წარმოდგენილია თაბახის 115 ფურცელზე.

სამუშაოს ძირითადი შინაარსი

თავი 1. სილიკონმანგანუმის გამოდნობის ტექნოლოგიური თავისებურებების ანალიზი

მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოება დამყარებულია ნახშირბადთერმული და სილიკონერმული მეთოდებით მანგანუმის აღდგენაზე მისი მაღნებიდან და კონცენტრატებიდან.

ერთ-ერთი ძირითადი მანგანუმიანი შენადნი, რომელიც ელექტროლუმელებში გამოდნება არის სილიკონმანგანუმი, რომელიც გამოიყენება ფოლადების განუანგვისა და ლეგირებისათვის. თავისი ქიმიური შედგენილობით იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედ სტანდარტებს. სილიკონმანგანუმში მანგანუმის ფარდობა სილიციუმთან მერყეობს 2,3-6,5 ზღვრებში, რაც შეესაბამება, როგორც აშშ, იაპონიის,

ჩინეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების სტანდარტებს, ასევე რიგი მკვლევარების რეკომენდაციებს.

ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი, როგორც დიდი, ასევე მცირე საწარმოები მუშაობენ სხვადასხვა ხარისხის და გენეზისის მაღნებზე, კონცენტრატებზე და წარმოების ნარჩენებზე. მათში მანგანუმის და ფოსფორის შემცველობა, როგორც აბსოლუტური ასევე ფარდობითი (%P/%Mn) მნიშვნელობით იცვლება დიდ დიაპაზონში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესები დამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული, მანგანუმის სასარგებლო გამოყენება მერყეობს 68-73%, სილიციუმის კი 40-42% ფარგლებში, რაც სრულიად ვერ პასუხობს დღვენდელ მოთხოვნებს.

სხვა მიზეზებთან ერთად ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ მანგანუმის და სილიციუმის აღდგენა ატარებს საპირისპირო ხასიათს. ერთის მხრივ, მანგანუმის სრულად და ღრმად აღსაღებენად საჭიროა მაღალფუძიანი კაზმი, რაც თავისთავად ხელს უშლის სილიციუმის აღდგენას. პრაქტიკულად ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია დნობისათვის კაზმის მომზადების რაციონალური მეთოდების გამოყენებით, წილის ოპტიმალური შედგენილობის შერჩევით, დნობის სწორი ელექტრული რეჟიმებით და ტემპერატურით.

სილიკომანგანუმის მიღების პროცესი დამყარებულია მაღნებიდან და კონცენტრატებიდან მანგანუმის და სილიციუმის ერთდროულ აღდგენაზე. დაბალ ტემპერატურებში ხდება მაღნის მანგანუმშემცველ მინერალებში არსებული მანგანუმის ოქსიდების, როგორც თერმული დისოციაცია, ასევე მისი არაპირდაპირი აღდგენა MnO -მდე, შემდეგი სქემით და რეაქციებით:



Mn_3O_4 ურთიერთქმედებს ღუმელის სარეაქციო ზონიდან გამომავალ აირებთან (CO) და ადვილად აღდგება MnO -მდე შედარებით დაბალ ტემპერატურებზე:



ტექნოლოგიური პროცესის სწორად მიმდინარეობის დროს ღუმელის მაღალ ტემპერატურულ ზონაში ხვდება მანგანუმის მადანი, რომელშიდაც მანგანუმი იმყოფება მონოკსიდის (MnO) სახით, რომლის აღდგენა მიმდინარეობს მხოლოდ მყარი ნახშირბადით:





ეს რეაქცია მიმდინარეობს სითბოს შთანთქმით და მისი საწყისი ტემპერატურაა 1420°C .

მანგანუმი ნახშირბადთან წარმოქმნის მტკიცე ნაერთს, მანგანუმის კარბიდს - Mn_xC_y , რომლის მიღების საწყისი ტემპერატურაა 1324°C .




ამიტომ, როგორც ვხედავთ MnO -ს ნახშირბადით აღდგენისას ჯერ წარმოიქმნება მანგანუმის კარბიდი შემდეგ კი – ლითონური მანგანუმი.

სილიციუმის აღდგენა მიმდინარეობს შემდეგი რეაქციებით:



სილიკომანგანუმის წარმოქმნის ჯამური რეაქცია, რომლის დროსაც მიმდინარეობს ნახშირბადით მანგანუმის და სილიციუმის პარალელური აღდგენა, შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სქემის სახით:



რეაქციის პროცესების შელღობის შედეგად წარმოიქმნება შენადნი 68-74% Mn და 14-22% Si . იმის გამო, რომ მანგანუმის სილიციდები უფრო მტკიცე ნაერთებია ვიდრე კარბიდები, ამიტომ ნახშირბადის შემცველობას შენადნში განსაზღვრავს სილიკომანგანუმში სილიციუმის რაოდენობა.

სუფთა ოქსიდების MnO და SiO_2 აღდგენისაგან განსხვავებით, სილიკომანგანუმის დნობის დროს აღდგენა ძირითადად მიმდინარეობს მანგანუმის სილიკატებიდან, ტეფროიტიდან ($2MnO \cdot SiO_2$) და

როდონიტიდან ($MnO \cdot SiO_2$). MnO და SiO_2 ურთიერთქმედება $1100^{\circ}C$ ტემპერატურაზე უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ხარისხით აღდგენა MnO კარბიდამდე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული შემჩნევა $1279^{\circ}C$, ე.ი. მნიშვნელოვნად უფრო დაგვიანებით გიდრე მანგანუმის სილიკატები წარმოიქმნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მანგანუმის არსებობისას მნიშვნელოვნად უმჯობესდება კაჟმიწის აღდგენა. ახლადაღდგენილი მანგანუმი გვევლინება როგორც დამლექი საშუალება აღდგენილი სილიციუმისათვის, ისევე როგორც რკინა ფეროსილიციუმის გამოდნობის შემთხვევაში.

მანგანუმის და სილიციუმის ერთდროული აღდგენა განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესით, ამიტომ სილიკომანგანუმის გამოდნობისას აუცილებელია მიღწეულ იქნას არა მარტო მანგანუმის არამედ სილიციუმის ღრმა აღდგენა.

მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში ფეროშენადნობთა წარმოება ძირითადად ხდება დაბალხარისხიანი, ხშირად მაღალრკინაშემცველი და მაღალფოსფორიანი აღგილობრივი და იმპორტირებული მაღნებიდან და კონცენტრატებიდან, მკვეთრად დაეცა წარმოების ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები და შენადნის ხარისხი. 3-6%-ით შემცირდა მანგანუმის ამოკრეფა, ხოლო ელექტროენერგიის ხარჯი $4200\text{კვტ.სთ}/\text{ტ-დან}$ $5000\text{კვტ.სთ}/\text{ტ-მდე}$ გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა მანგანუმის წილაში გადასვლის ხარისხი, რაც ხშირად 20%-ს აღემატება. აღსანიშნავია ისიც, რომ წილებში მანგანუმი იკარგება არა მარტო ოქსიდური სახით, არამედ ლითონური ჩანართების სახით (5-8%). ყოველივე ამის ფონზე, ამჟამად შეიმჩნევა რა მანგანუმის კონცენტრატების მწვავე დეფიციტი და შესაბამისად მასზე გაზრდილი ფასები, ამიტომ მანგანუმის დანაკარგების შემცირება მისი გადამუშავების ყველა ეტაპზე წარმოადგენს მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან ამოცანას.

მრავალი ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია სილიკომანგანუმის წარმოების ტექნიკო-ეკონომიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაზრდელად, ეხება ამ შენადნობის მიღებას მძლავრ ($16,5-30,0\text{მგა}$) და ზემდლავრ ($48,0-75,0\text{მგა}$) ღუმელებში და ძალზე მწირია ინფორმაცია

სილიკონგანუმის წარმოებაზე მცირე (2,5-5,0მგა) და საშუალო სიმძლავრის (7-9მგა) დუმელებში.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ამჟამად სილიკონგანუმის გამოდნობის მნიშვნელოვანი წილი მოდის სწორედ მცირე და საშუალო სიმძლავრის დუმელებზე და დიდია პერსპექტივა მისი კიდევ უფრო გაზრდისა, ჩვენი სამუშაოს ძირითად მიზანს წარმოადგენს სილიკონგანუმის მიღების ტექნოლოგიის დახვეწა ასეთი ტიპის დუმელებში (შესაბამისად დუმელების ოპტიმალური გეომეტრიული და ელექტრული პარამეტრების დამუშავება), რომელიც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ წარმოების ძირითადი მაჩვენებლები.

ამრიგად, მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევების და პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად, ამჟამად, სილიკონგანუმის მიღების ტექნოლოგიას, გააჩნია რიგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და საჭიროებს დახვეწას. თუ გავითვალისწინებთ მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოების მოცულობის გაზრდას, შეიძლება დავასკვნათ, რომ უახლოეს პერსპექტივაში მანგანუმის რაციონალური გამოყენების პრობლემა დღის წესრიგში უფრო მწვავედ დადგება ვიდრე ამჟამად და მისი გადაწყვეტა წარმოადგენს მინერალური ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესებისა და სანედლეულო ბაზის გაფართოების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

თავი 2. ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოყენებული ნედლი მასალების და კაზმების ელექტროწინაღობის გამოკვლევა

მანგანუმიანი ფეროშენადნობების გამოდნობის პროცესში მადანადმდგენი დუმელის მუშაობაზე უდიდეს გავლენას ახდენს გამოყენებული საკაზმე მასალების და კაზმების ელექტროწინაღობა. მადალი ელექტროწინაღობა უზრუნველყოფს დუმელში ელექტროდების ღრმა მდებარეობას და მნიშვნელოვანდ ამცირებს დუმელის ზედა პორიზონტებში დენების გაფანტვას. იგი საშუალებას იძლევა ელექტროენერგიის დანაკარგების გარეშე გავზარდოთ მუშა ძაბვა

ელექტროდებზე და შესაბამისად საღუმელე აგრეგატის სასარგებლო სიმძლავრე.

კაზმის საერთო ელექტროწინაღობა ძირითადად დამოკიდებულია ნახშირბადიანი აღმდგენელების და მაღნის ოქსიდური კომპონენტების წინაღობაზე, ფრაქციულობაზე და კაზმში მათ თანაფარდობაზე. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკაზმე კომპონენტების ელექტროწინაღობის შესწავლას.

ჩვენს მიერ ელექტროწინაღობების გამოკვლევები ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეთოდიკით, რომელიც საშუალებას იძლევა ავტომატურ რეჟიმში დააფიქსიროს საკვლევი ნიმუშის ელექტროწინაღობა შესაბამის ტემპერატურაზე.

სვედრითი ელექტროწინაღობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\rho = \frac{R \cdot S}{\ell}$$


სადაც ρ - სვედრითი ელექტროწინაღობაა, ომ. მ;

R - ნიმუშის ელექტროწინაღობაა, ომი;


S - ნიმუშის ფართობია, მ²;

ℓ - ნიმუშის სიმაღლეა, მ.

ელექტროწინაღობის ტემპერატურებზე დამოკიდებულების მრუდები, მოცემულია ნახაზებზე 1-6.




ნახ1. სხვადასხვა ხარისხის მაღნების ელექტროწინაღობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე: 1 - Mn -49%; 2. - Mn -44%; 3. - Mn -35%; 4. - კვარციტი



ნახ.4. სხვადასხვა შედგენილობის კაზმების ელექტროწინაღობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე: 1. მაღანი +100% კოქსი; 2. მაღანი +70% კოქსი +30% ნახშირი; 3. მაღანი+100% ნახშირი; 4. მაღანი + 100% ნახშირი + კვარციტი


მრუდები ნახაზე 1. გვიჩვენებს ელექტროწინაღობის დამოკიდებულებას მაღნის ხარისხზე და ტემპერატურაზე. მთელს ტემპერატურულ ინტერვალში ყველაზე დაბალი ელექტროწინაღობა აქვს I ხარისხის მანგანუმის კონცენტრატს, - Mn - 49%, SiO_2 - 8,1%, ხოლო ყველაზე მაღალი – III ხარისხის კონცენტრატს Mn - 35,2%, SiO_2 - 21,8%. ეს აიხსნება იმით, რომ I ხარისხის კონცენტრატში დიდი რაოდენობითაა კარგად გამტარი მინერალი-პიროლუიზიტი (MnO_2). კონცენტრატში მანგანუმის რაოდენობის შემცირება და შესაბამისად კაჟმიწის (SiO_2) რაოდენობის გაზრდა იწვევს მაღნის ელექტროწინაღობის გაზრდას.

ტყვარჩელის და ტყიბულის ნახშირების ელექტროწინაღობების შესწავლით დადგინდა, რომ $400^{\circ}C$ ტემპერატურამდე ნახშირები არიან დიელექტრიკები, ხოლო $400-900^{\circ}C$ ტემპერატურებში მათი ელექტროწინაღობა მკვეთრად ეცემა. შემდეგ კი შეიმჩნევა წინაღობის ნელი გარდნა.



ნახ. 3. ნახშირბადიანი აღმდგენელების ელექტროწინაღობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე და აქროლადი ნივთიერებების რაოდენობაზე:


1 – კოქსწვრილი; 2 – ანტრაციტი; 3 – ნახევრადკოქსი;
4 – ნაფთობკოქსი; 5 – ტყვარჩელის ნახშირი; 6 – ტყიბულის ნახშირი.



ნახ. 4. სხვადასხვა ფრაქციის კოქსწვრილას ელექტროწინაღობის ცვლილება 0-1200°C ტემპერატურულ ინტერვალში: 1 – 0-5მმ; 2 – 5-20მმ; 3 – 20-25მმ

მაღანაღმდგენი ფეროშენაღნობთა ღუმელის მუშაობის რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ნახშირბადიანი აღმდგენელების თვისებები: რეაქციის უნარი, ფრაქციულობა და ელექტროწინაღობა. აღმდგენელის სწორი შერჩევა უზრუნველყოფს ელექტროდის ღრმა ჩაჯდომას კაზმში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ღუმელის საკერძეზე თბურ დანაკარგებს. გარდა ამისა, მაღალი ელექტროწინაღობის აღმდგენელების გამოყენება უზრუნველყოფს ღუმელის აბაზანაში სიმძლავრის უფრო თანაბარ განაწილებას.

იზრდება ელექტრული რკალის სიმძლავრე და მცირდება კაზმში გამავალი დენების მიერ გამოყოფილი სიმძლავრე. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა რიგი ნახშირბადშემცველი აღმდგენელები, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან აქროლადების შემცველობით.



- ნახ. 5. კაზმების ელექტროწინაღობის დამოკიდებულება გამოყენებულ აღმდგენელზე და ტემპერატურაზე: 1. ტუბულის ნახშირი; 2. ტყვარჩელის ნახშირი; 3. ნავთობკოქსი; 4. ანტრაციტი; 5. კოქსწარილა; 6. გრაფიტი


აღმდგენელებში აქროლადი ნივთიერებების რაოდენობა და მისი შედგენილობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ღუმელის მუშაობაზე. აქროლადების დიდი რაოდენობა, ხდება რა მისი კონდენსაცია ღუმელის ზედა ჰორიზონტებში, იწვევს კაზმის თანაბარი სვლის დარღვევას და მისი აირგანვლადობის გაუარესებას (ხდება მისი შეცხობა).

გაზომვების შედეგებიდან ჩანს, რომ აღმდგენელების ელექტროწინაღობა აქროლადების გამოსვლის კლებასთან ერთად მცირდება.

ფეროშენადნობთა ღუმელის მუშაობაზე აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს ნახშირბადიანი აღმდგენელის ფრაქციულობა. სხვადასხვა ფრაქციის კოქსის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ყველაზე მაღალი ელექტროწინაღობა 0-1200°C ტემპერატურულ ინტერვალში აქვს 0-588 ფრაქციის კოქსს. მაგრამ ასეთი ფრაქციის კოქსის გამოყენება აუარესებს ღუმელის მუშაობას იმის გამო, რომ ამ დროს შესაძლებელია მოხდეს საკერძის შეცხობა. იგი დიდი რაოდენობით

წარიტაცება გამონაბოლქვი აირების მეშვეობით, რაც თავისთავად იწვევს კოქსის დიდ დანაკარგებს. 2008-ზე მეტი ფრაქციის კოქსის გამოყენება კი ზრდის ელექტროგამტარობას, შესაბამისად აუარესებს ელექტროდების კაზმში ჩაჯდომის სიღრმეს და არღვევს ღუმელის მუშაობის ნორმალურ რეჟიმს.

კაზმების ელექტროწინადობების გაზომვებს ვახდენდით იგივე მეთოდით, როგორც აღმდგენელების შემთხვევაში. კაზმის შედგენილობა გათვლილი იყო სილიკომანგანუმის (Si - 17%) მისაღებად. ყველაზე მაღალი ელექტროწინადობა აქვს ტყიბულის ნახშირზე დამზადებულ კაზმს, შემდეგ მოდის ტყვარჩელის ნახშირზე და ნავთობის კოქსზე დამზადებული კაზმები.



ნახ. 6. სხვადასხვა ფრაქციის აფრიკის მაღნების ელექტროწინადობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე: 1 – 0-5მმ; 2 – 5-20მმ; 3 – 20-40მმ; 4 – +40მმ.


მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს ის, რომ კაზმების ელექტროწინადობა განისაზღვრება არა მარტო აღმდგენელების ელექტროწინადობით, არამედ თუ რა მოცულობითი რაოდენობითაა კაზმში აღმდგენელი.

განხილულ ტემპერატურულ ინტერვალში კაზმების ელექტროწინადობების მნიშვნელოვანი განსხვავება მოწმობს იმას, თუ რა დიდ როლს თამაშობს შენადნობის მიღების პროცესში აღმდგენელის სწორი შერჩევა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახშირების გამოყენება, სილიკომანგანუმის გამოსაღწობა კაზმში, არის პერსპექტიული მიმართულება დნობის მახასიათებლების ასამაღლებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

თავი 3. საკაზმე მასალებში გამავალი დენების დამოკიდებულება ფეროშენადნობთა ღუმელის გეომეტრიულ ზომებზე

კვლევების ობიექტად ჩვენს მიერ აღებული იყო ქ. რუსთავის სხვადასხვა მცირე საწარმოში განლაგებული 3500-5000კვტ სიმძლავრის სამფაზა მაღანთერმული ღუმელები გრაფიტის ელექტროდების ტოლგვერდა სამკუთხედის წვეროებში განლაგებით. ელექტროდების სიმეტრიული განლაგება საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მაღანთერმულ ღუმელებში დენების განაწილების კლასიკური სქემა (ნახაზი 7.), რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ ელექტრული ველების გამოთვლების დროს.



ნახ. 18. მაღანაღმდგენი ღუმელის აბაზანაში ელექტრული დენების განაწილების სქემა
1-ნახშირის ბლოკები (ქვედი); 1a-ნახშირის ბლოკები (კედლის);
2-ლითონი; 3-წილი; A - ტიგელი; B - აირის (ელექტროდის ქვედა) არე.

გამოსაკვლევი ღუმელების ძირითადი პარამეტრებია


	I ღუმელი	II ღუმელი	III ღუმელი	IV ღუმელი
ელექტროდის დიამეტრი, მმ	300	350	400	450
განშლის დიამეტრი, მმ	1080	1140	1200	1320
აბაზანის დიამეტრი, მმ	2160	2280	2400	2640
აბაზანის სიღრმე, მმ	1200	1200	1200	1200

მესამე ღუმელის ზომები ყოველი ჩატარებული გამოთვლებისათვის მიღებულია, როგორც ნორმალური, ოპტიმალური.

ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა გამოთვლა ჩატარებულია პირობით ერთეულებში, ამიტომაც კვლევების შედეგები შესაძლებელია ნებისმიერ ღუმელს მივაკუთვნოთ.

გამოთვლების პირველი სერია ჩატარდა ისეთ პირობებში, როდესაც ელექტროდების განშლის და ღუმელის აბაზანის დიამეტრი იყო მუდმივი ($d_{\text{გა}} = 1200\text{მმ}$; $d_{\text{აბ}} = 2400\text{მმ}$), ხოლო ელექტროდის დიამეტრი ცვალებადი ($d_{\text{კლ}} = 300, 350, 400, 450\text{მმ}$) (ნახაზი 8.). როგორც ნახაზზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს, კაზმში გამავალი ჯამური დენი I იზრდება ელექტროდის დიამეტრის გაზრდასთან ერთად. ეს აიხსნება იმით, რომ ელექტროდის დიამეტრის გაზრდით მცირდება მანძილი მისი ზედაპირიდან ღუმელის გამტარ, გვერდით ამონაგს შორის და მცირდება მანძილი ელექტროდებს შორის. შესაბამისად მცირდება წინაღობა და იზრდება საკაზმე მასალებში გამავალი დენი.

გამოთვლების მეორე სერია ჩატარდა ელექტროდების განშლის დიამეტრიც ცვალებადობის პირობებში ($d_{\text{გა}} = 1080, 1140, 1200, 1320\text{მმ}$ იყო ცვალებადი, ხოლო $d_{\text{კლ}} = 400\text{მმ}$ და $d_{\text{აბ}} = 2400\text{მმ}$ იყო მუდმივი) ეს პარამეტრი, როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ყველაზე მნიშვნელოვნად ახდენს ზემოქმედებას ღუმელის სამუშაო არეში განთავსებულ საკაზმე მასალებში გამავალ დენებზე. განშლის დიამეტრის ცვლილება (მისი გაზრდა ან შემცირება) ელექტროდის დიამეტრის ცვლილებასთან შედარებით იწვევს დენური დატვირთვების მკვეთრ რყევებს. ელექტროდების განშლის დიამეტრის შემცირებას თან ახლავს კაზმის დენების ცვალებადობის მაღალი ხარისხი (ნახაზი 9.).



ნახ. 8. კაზმის დენების დამოკიდებულება ელექტროდის დიამეტრთან

ნახ. 9. კაზმის დენების დამოკიდებულება ელექტროდის განშლის დიამეტრთან

საკაზმე მასალებში გამავალი დენების თანაბარი განაწილების დარღვევა ღუმელში განშლის დიამეტრის გაზრდის შემთხვევაში გამოწვეულია დენის იმ ნაწილის გაზრდით, რომელიც მიმართულია ყოველი ელექტროდიდან ღუმელის გვედრითი გამტარი ამონაგისაკენ, ხოლო განშლის დიამეტრის შემცირების შემთხვევაში კი – დენის იმ ნაწილის გაზრდით, რომელიც მიმართულია მეზობელი ელექტროდების მიმართულებით.

ელექტროდების განშლის დიამეტრის შემცირებისას იზრდება ის დენი, რომელიც მიმართულია ყოველი მეზობელი ელექტროდებისაკენ და პირიქით – მცირდება ის დენი, რომელიც მიმართულია ელექტროდიდან ამონაგის მიმართულებით,


როგორც ნახაზიდან ჩანს, როდესაც ელექტროდების განშლის დიამეტრია 1200მმ, ე.ი. ოპტიმალური, მაშინ გვაქვს ელექტროდის გვერდითი ზედაპირიდან გამტარი კაზმისაკენ განშტოებული დენის მინიმალური მნიშვნელობა და შესაბამისად ამ კაზმის მაქსიმალური წინაღობა. გარდა ამისა ელექტროდის განშლის დიამეტრის ყოველგვარი გადახრა (როგორც გაზრდა, ასევე შემცირება) იწვევს დენის გაზრდას და შესაბამისად საკაზმე მასალების წინაღობის შემცირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ხშირად ცდილობენ გაზარდონ ღუმელის სამუშაო არის ელექტრული წრედის წინაღობა იმ

ანგარიშით, რომ ერთი და იგივე სიმძლავრის პირობებში ელექტროდებზე მოდიოდეს რაც შეიძლება მაღალი ძაბვა.

როგორც ცნობილია, მაღალ ძაბვებზე მუშაობა იწვევს ღუმელების მუშაობის ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, რაც გამოწვეულია ელექტრული დანაკარგების შემცირებით და სიმძლავრის კოეფიციენტის გაზრდით.

გამოთვლების მესამე სერია ჩატარებულ იქნა იმ შემთხვევისათვის, როდესაც იცვლებოდა ღუმელის აბაზანის დიამეტრი ($d_{\text{აბა}} - 2160; 2280; 2400; 2640 \text{მმ}$), ხოლო $d_{\text{ჰა}} - 400 \text{მმ}$ და $d_{\text{გა}} - 1200 \text{მმ}$ იყო მუდმივი. როგორც ნახაზზე 10. მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ღუმელის აბაზანის დიამეტრის გაზრდით საკაზმე მასალებში გამავალი დენი მცირდება. ეს აიხსნება იმით, რომ აბაზანის დიამეტრის გაზრდით, იზრდება მანძილი ელექტროდსა და ღუმელის გვერდით ამონაგს შორის. ამის გამო იზრდება წინაღობა და მცირდება დენის ის მდგენელი, რომელიც ამ მიმართულებით მიედინება.



ნახ. 22. კაზმის დენების დამოკიდებულება ღუმელის აბაზანის დიამეტრთან

ჩატარებულ გამოკვლევებზე და შესრულებულ გამოთვლებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ შერჩეული (მესამე ღუმელი) ღუმელის გეომეტრიული ზომები ყველაზე მეტად უზრუნველყოფს დენების თანაბარ განაწილებას ელექტროდების გარშემო და საკაზმე მასალების წინაღობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს.

თავი 4. ფეროშენადნობთა ღუმელების ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრების გაანგარიშება

ელექტრული პარამეტრების ანგარიში

ანგარიში წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ტრანსფორმატორის სიმძლავრე განისაზღვრება ფორმულით

$$W = \frac{G \cdot A}{24K \cdot \cos \varphi} \quad \text{კვტ; } \quad (1)$$

სადაც: G – ღუმელის წარმადობა, ტ/დღე-დამეში;

24 – საათების რაოდენობა დღე-დამეში, სთ;

$\cos \varphi$ – ელექტროლუმელის სიმძლავრის კოეფიციენტი;

K – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ღუმელის გაჩერებებს და ელექტრული რეჟიმის რყევებს. აიღება 0,93-0,95.

A – ელექტრო ენერგიების ხვედრითი ხარჯი, კვტ.სთ/ტ (აიღება პრაქტიკული მონაცემების მიხედვით).

შემდეგ განისაზღვრება ღუმელის აბაზანაში გამოყოფილი სასარგებლო სიმძლავრე:

$$P_{\text{ხს}} = W \cdot \cos \varphi \cdot r_{\text{კლ}} \quad \text{კვტ; } \quad (1)$$

$r_{\text{კლ}} \cdot \cos \varphi$ საანგარიშო სიდიდე 3500-5000 კვა სიმძლავრის

ღუმელებისათვის ტოლია 0,8.

სასარგებლო მუშა ძაბვა ტოლია:

$$U_{\text{ხს}} = 6,5 \sqrt{P_{\text{ხს}}} \text{, ვოლტი } \quad (2)$$

ტრანსფორმატორის მეორადი ხაზური ძაბვა შეადგენს:

$$U_{\text{ხს}} = \frac{U_{\text{ხს}} \cdot \sqrt{3}}{r_{\text{კლ}} \cos \varphi}, \quad \text{ვოლტი } \quad (3)$$

ძაბვის სფეხურების რიცხვი გამოითვლება ფორმულით:

$$n = \frac{1,2U_{\text{ხს}} - 0,75U_{\text{ხს}}}{4 \div 6} + 1 \quad (4)$$

დენის ძალა ელექტროდზე:

$$I_{\text{კლ}} = \frac{P_{\text{ხს}}}{3U_{\text{ხს}}}, \quad \text{კ ამპერი} \quad (5)$$

აბაზანის აქტიური წინაღობა ტოლია:

$$R_{\text{აბაზ}} = \frac{U_{\text{საბ}}}{I_{\text{კლ}}}, \quad \text{მმ} \quad (6)$$

ელექტროდენის დენის ძალის მნიშვნელობიდან განისაზღვრება მისი დიამეტრი:

$$d_{\text{კლ}} = \frac{\Theta \Pi_1 \cdot I}{U_{\text{საბ}}}, \quad \text{მმ} \quad (7)$$

$\Theta \Pi_1$ მნიშვნელობები მოცემულია სპეციალურ ცნობარებში.

ელექტროდის დიამეტრის შერჩევის სისტორე მოწმდება დენის ძალის დასაშვები სიმკვრივის მიხედვით (j , ა/სმ^2)

$$j_{\text{სასან}} = \frac{4I}{\pi \cdot d_{\text{კლ}}^2}, \quad \text{ა/სმ}^2 \quad (8)$$

მოწმდება აგრეთვე $\cos \varphi$ გაანგარიშება:

$$\cos \varphi_{\text{სასან}} = \sqrt{1 - \left(\frac{X}{R_{\text{აბ}}} \right)^2} \quad (9)$$

სადაც $R_{\text{აბ}}$ – აბაზანის აქტიური წინაღობაა, ხოლო X – რეაქტიული წინაღობა.

ღუმელის გეომეტრიული პარამეტრების ანგარიში

ღუმელის გეომეტრიული პარამეტრების განსაზღვრა წარმოებს ელექტრული მახასიათებლების ანგარიშის შემდეგ. ელექტრული მახასიათებლების და გეომეტრიული პარამეტრების დამაკავშირებელ სიდიდეს წარმოადგენს ელექტროდის დიამეტრი. გეომეტრიულ პარამეტრებს მიეკუთვნებიან:

$D_{\text{გან}}$ – ელექტროდის განშლის დიამეტრი, მმ;

δ – კედლის ამონაგის სისქე ქვედოან, მმ;

D – აბაზანის დიამეტრი საკერძესთან, მმ;

$D_{\text{კლ}}$ – ელექტროდის დიამეტრი, მმ;

L – აბაზანის სიღრმე, მმ;

B – ელექტროდებს შორის მანძილი, მმ;

$D_{\text{ნახ}}$ – აბაზანის დიამეტრი ნახშირის ბლოკების დონეზე, მმ;

$H_{\text{ნახ}}$ – ნახშირის ბლოკების სიმაღლე, მმ;

H – ელექტროდის კაზმში მდებარეობის სიმაღლე, მმ

f – მანძილი ელექტროდსა და კედლის ამონაგს შორის, მმ.

გეომეტრიული პარამეტრების ანგარიში წარმოებს გეომეტრიული მსგავსობის პრინციპის შესაბამისად. მიღებულია, რომ მრგვალ სამელექტროდიან ღუმელში ელექტროდები განლაგებული არიან ტოლგვერდა სამკუთხედის წვეროებზე.

ცხრილში 1. მოცემულია ფეროშენადნობთა ღუმელებისათვის გეომეტრიული მსგავსობის კრიტერიუმის მნიშვნელობები.

ცხრილი 1. გეომეტრიული მსგავსობის კრიტერიუმების მნიშვნელობები

გეომეტრიული პარამეტრი	კრიტერიუმის აღნიშვნა	კრიტერიუმის სილიდე
ელექტროდებს შორის მანძილი, (B)	B'	2,24-3,02
აბაზანის დიამეტრი საკერძესთან, (D)	D'	5,80-6,00
აბაზანის დიამეტრი ნახშირის ბლოკების დონეზე, ($D_{\text{ბლ}}$)	$D'_{\text{ბლ}}$	5,60-5,80
აბაზანის სიღრმე, (L)	L'	2,0-2,50
ნახშირის ბლოკების სიმაღლე, ($H_{\text{ბლ}}$)	$H'_{\text{ბლ}}$	0,95-1,10
ელექტროდის კაზმში მდებარეობის სიმაღლე, (H)	H'	0,85-1,25
ელექტროდების განშლის დიამეტრი, ($D_{\text{გან}}$)	$D'_{\text{გან}}$	2,2-3,0

ნებისმიერი გეომეტრიული პარამეტრი (Π) განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობიდან:

$$\Pi = \Pi' \cdot d_{\text{კლ}} \quad (1)$$

მაგალიდად, ელექტროდებს შორის მანძილი

$$B = B' \cdot d_{\text{კლ}} \quad (2)$$

ამგვარად განისაზღვრება ყველა გეომეტრიული პარამეტრი.

ელექტროდების განშლის დიამეტრი დამოკიდებულია პროცესის თავისებურებებით და უწყვეტი პროცესებისათვის მაღანალმდგენელი ღუმელებისათვის იღებენ სამთან ახლო მნიშვნელობას, ხოლო პერიოდული პროცესებისათვის კი – ორთან ახლოს. შესაბამისად მანძილი ელექტროდებს და ამონაგს შორის აიღება:

$$f = 0,95 \div 1,2 d_{\text{კლ}} \quad (3)$$

აბაზანის დიამეტრი ნახშირის ბლოკების სიმაღლეზე:

$$D_{\text{ბლ}} = D_{\text{ბა}} + 2,7d_{\text{ბლ}} \quad (4)$$

ლუმელის გარცმის დიამეტრი გამოითვლება შემდეგი ტოლობით:

$$D_{\text{ბა}} = D_{\text{ბლ}} + 2\delta, \quad (5)$$

სადაც δ – არის ამონაგის სისქე ნახშირის ბლოკების სიმაღლეზე. იგი განისაზღვრება ლუმელის სიმძლავრის და პროცესის ტექნოლოგიური თვაისებურებებით. არსებული პროცესებისათვის მას პრაქტიკული გამოცდილებიდან ირჩევენ.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით ჩატარებული გაანგარიშებები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მადანაღმდგენი ლუმელის ეკონომიკურად გამართლებული ოპტიმალური პარამეტრები, მათზე დნობის ძირითადი ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით.

დასკვნა

1. ჩვენი ქვეყნის მანგანუმიანი ფეროშენადნობების მრეწველობის გაფართოების მიზნით ჩატარებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია სილიკონმანგანუმის წარმოების გაზრდა მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანალმდგენი დუმელებით. გაანალიზებულია მინი საჭარმოების როლი და მნიშვნელობა ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვის და დნობის ტექნიკური მახასიათებლების გაზრდის თვალსაზრისით.
2. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია მაღანალმდგენი დუმელების კონსტრუქციული, ელექტრული და ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი. ნაჩვენებია დუმელის მირითადი პარამეტრების შერჩევის მეთოდიკა. დადგენილია თუ როგორ ნაწილდება დენები და ძაბვები დუმელის აბაზანაში და როგორია ელექტრული დანაკარგები, როგორც თვისობრივი ისე რაოდენობირივ თვალსაზრისით. ყველა ეს გამოკვლევები ეხება მძლავრ დუმელებს და ლიტერატურაში არ მოიპოვება, ან მეტად მწირია მონაცემები მცირე და საშუალო სიმძლავრის დუმელებში მიმდინარე პროცესებზე.
3. შესწავლილია ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოყენებული მასალების (მაღნები, ნახშირბადიანი აღმდგენელები, ფლუსები) და კაზმების ელექტროწინაღობა. დადგენილია, რომ მაღნებში ელექტროგამტარ მინერალს წარმოადგენს პიროლუიზიტი და მათი ელექტროწინაღობა იცვლება მაღნის ხარისხის უცუპროპორციულად. რაც მეტია კონცენტრატებში SiO_2 -ის შემცველობა, მით მეტია მათი წინაღობა. აღმდგენელების ელექტროწინაღობა დამოკიდებულია მათში აქროლადების რაოდენობაზე. რაც მეტია აქროლადები, მით მეტია ელექტროწინაღობა (ტყიბულის და ტყვარჩელის ნახშირები) და პირიქით – რაც ნაკლებია აქროლადები, მით ნაკლებია მათი წინაღობა (გრაფიტი, კოქსწვრილი). გამოყენებული საკაზმე მასალების შესაბამისად იცვლება მათი ელექტროწინაღობა. მაღნებში გაზრდილი რკინის შემცველობა იწვევს მისი ელექტროწინაღობის შემცირებას.

4. ლაბორატორიული და სამრეწველო დუმელების აბაზანის გამოკვლევამ, სხვადასხვა ელექტროწინაღობის საკაზმე მასალების გამოყენების პირობებში გვიჩვენა, რომ დუმელის სიღრმეში დენის სიმკვრივე და ტემპერატურა არასწორხაზოვნად იცვლება. მაღალი წინაღობის აღმდგენელის (ნახშირი) გამოყენების შემთხვევაში ნიშვნელოვნად მცირდება კაზმის ზედა შრეებში ელექტროდებს შორის დენების გადინება. შესაბამისად მცირდება დუმელის მოცემულ სიღრმეში ტემპერატურაც. დანაჭროვნებული, ნატეხოვანი კაზმიც ზრდის დუმელის აბაზანის საერთო წინაღობას, უზრუნველყოფს ელექტროდების ღრმა მდებარეობას და სიმძლავრე რაციონალურად ნაწილდება დუმელის მთელ მოცულობაში. ზემოთხამოთვლილი ფაქტორები საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს და ზრდის დნობის მაჩვენებლებს.
5. ჩატარებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევებზე დაყრდნობით განისაზღვრა საკაზმე მასალებში გამავალი დენების დამოკიდებულება დუმელის პარამეტრებზე. დადგენილია, რომ ჩვენს მიერ შერჩეული დუმელის გეომეტრიული ზომები ყველაზე მეტად უზრუნველყოფს დენების თანაბარ განაწილებას ელექტროდების გარშემო და საკაზმე მასალების წინაღობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს.
6. ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე დავადგინეთ მცირე და საშუალო სიმძლავრის დუმელებისათვის ელექტროდის დიამეტრის, განშლის დიამეტრის, აბაზანის დიამეტრის და სიმაღლის ოპტიმალური ზომები. დნობის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად აუცილებელია დენი ელექტროდის გარშემო განაწილდეს თანაბრად და იმავდროულად გაიზარდოს საკაზმე მასალების ელექტროწინაღობა.
7. ელექტროდუმელებში სილიკომანგანუმის დნობის პარამეტრების გაზრდის მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს გამოსაღწობ კაზმში ნახშირბადის ხევდრითი წილის გაზრდა, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას კოქსის გარკვეული რაოდენობის (25-30%) შეცვლით ადგილობრივი, ტყიბულის ნახშირით. აბაზანის ელექტროწინაღობის

გაზრდა ადდგენელის საკმაოდ მაღალი რაოდენობის პირობებში ($C/(Mn+SiO_2) = 0,25 - 0,27$), საშ ალებას გვაძლევს გავზარდოთ მუშა ძაბვა ელექტროდებზე და შესაბამისად დუმელის სიმძლავრე, რაც საბოლოო ჯამში დუმელის მუშაობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის საწინდარია.

8. შემოთავაზებულია დუმელების ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრების გამოთვლის ორი მეთოდი. დადენილია 5 მგა სიმძლავრის დუმელის ოპტიმალური ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრები, რომლებიც შემდეგია: აბაზანის დიამეტრი – 2520მმ; ელექტროდების განშლის დიამეტრი – 1240მმ; აბაზანის სიღრმე – 1500მმ; ელექტროდის დიამეტრი – 400მმ.

ძაბვა ტრანსფორმატორის დაბალ მხარეზე 100-127,5 ვოლტი; დენის ძალა ელექტროდზე – 17-23 კ ამპერი, სიმძლავრე – 2,3-3,5 მ ვატი; სიმძლავრის კოეფიციენტი – $\cos\varphi - 0,75 - 0,82$.

9. წვერს მიერ დაპროექტებულ დუმელში სილიკომანგანუმის დნობის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საღუმელე აგრეგატის სიმძლავრე გაიზარდა 2,0-დან 3,5 მ ვატამდე, შესაბამისად გაიზარდა დუმელის წარმადობა 12-დან 18 ტონამდე დღე-დამეში, შემცირდა ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი 4400-დან 4000 კვტ. საათამდე. მანგანუმის და სილიციუმის ამოკრეფა ლითონში გაიზარდა შესაბამისად 10 და 8%-ით.
10. გამოკვლევების პროცესში მიღებული შედეგები იგეგმება გამოყენებული იქნას უკვე არსებული მცირე და საშუალო სიმძლავრის მაღანოურმული დუმელების მოდერნიზაციისა და ახალი დუმელების და მათი მართვის სისტემების პროექტირებისათვის.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში

1. Симонгулашвили З.А., Шарашидзе Т.В., Цирдава М.О. и др. Исследование, разработка и промышленное освоение технологии выплавки силикомарганца из бедных высокожелезистых марганцевых руд на ферросплавном мини-заводе ООО „Метекс”. Труды ГТУ, №1 (471), Тбилиси, 2009, С.52-56.
2. Симонгулашвили З.А., Камкина Л.В., Майсурадзе Б.Г., Цирдава М.О. Кинетика углеродтермического восстановления брикетов из марганецсодержащих отходов производства. Труды ГТУ, №3 (473), Тбилиси, 2009, С.35-38.
3. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. მაისურაძე, მ. ცირდავა და სხვ. ფეროშენადნობთა წარმოების ნარჩენებისაგან მისაღები კაზმი. // საქართველო, საინფორმაციო ბიულეტენი №18, თბილისი, 2009.
4. Клдиашвили В.И., Симонгулашвили З.А., Цирдава М.О. Рудовосстановительная дуговая печь для производства силикомарганца. //GEORGIAN ENGINEERING NEWS, №3 (51), Tbilisi, 2009, C.63-66.
5. Клдиашвили В.И., Цирдава М.О., Мелkadze D.G. и др. Ферросплавные рафинировочные электропечи. //GEORGIAN ENGINEERING NEWS, №3 (51), Tbilisi, 2009, C.59-62.
6. Симонгулашвили З.А., Майсурадзе Б.Г., Микеладзе М.Ш., Цирдава М.О. Особенности восстановления силикомарганцевых шихт в присутствии металлического марганца. სკა, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის მე-2 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2009, С. 233-236.
7. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. ცირდავა, ჟ. ნემსაძე. სილიკომანგანუმის გამოსადნობი კაზმის ელექტროჭინადნობის გავლენა დნობის მაჩვენებლებზე. / „კერამიკა“, თბილისი, 2010, გვ. 28-32.
8. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. მაისურაძე, მ. ცირდავა და სხვ. ეკოლოგიურად საშიში მანგანუმშემცველი ნარჩენების უტილიზაცია ფეროშენადნობთა წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოების მიზნით. / საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები, თბილისი, 2010, გვ. 116-118.
9. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. მაისურაძე, მ. ცირდავა. სილიკომანგანუმის მიღების ახალი ტექნოლოგიური სქემის დამუშავება კაზმში მანგანუმიანი და ნახშირბადშემცველი ნარჩენების გამოყენებით. /საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის შრომები. ქუთაისი, 2010, გვ. 233-235.
10. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. ცირდავა, ვ. კლდიაშვილი და სხვ. საკაზმე მასაღებში გამავალი დენების დამოკიდებულება ფეროშენადნობთა დუმელის გეომეტრიულ ზომებზე. სტუს შრომები №1 (479), თბილისი, 2011, გვ. 36-41.
11. ზ. სიმონგულაშვილი, ბ. ცირდავა, ი. მაისურაძე და სხვ. დაბალფოსფორიანი წილის გამოდნობა საშუალო სიმძლავრის მაღანაღმდეგენერალ ელექტროდუმელში მანგანუმშემცველი ნარჩენების გამოყენებით. „ენერგია“, №4 (60), თბილისი, 2011, გვ. 93-96.

Abstract

Coming out of existing conditions of manganese ferroalloy production in Georgia, receiving alloys and improving their quality is especially urgent for mini-manufactures equipped with heavy, low and moderate duty furnace, the part and importance of which has been increasing last years.

Modern technical level and mobility of mini-manufactures provide high economic and engineering figures in conditions of relatively low capital expenses.

Nowadays, 10 mini factories of ferroalloys with furnaces of 2,5-9,0 MVA duty function in Georgia. Their total power exceeds 70 MVA. In the same time it has to be denoted that almost all similar manufactures were constructed chaotically, without any designing and scientific confirmation of technical, economical, electrical, geometric and technological parameters. During last decades projecting and development of superpower furnace were stressed. Thus, in literature there are scanty or no data on parameters of low and moderate duty furnaces and peculiarities of the processes in them.

Coming out of abovementioned, the goal of the thesis work is improving technology of receiving silicate manganese in low and moderate duty ore restoring furnaces by optimization of scientifically confirmed electrical, geometric and technological parameters providing growth of manganese picking up and development of other main technical and economical properties of melting. For solving planned problems following were studied and learnt:

- technological peculiarities of alloying silicate and manganese in various-duty ore restoring furnaces in relation with currency passing through furnace and geometric measures.
- electrical resistance of various carbon containing reducers, concentrates, ores.
- in ore restoring furnaces distribution of electric fields and their influence on the process of receiving silicate and manganese.
- specification of optimal geometric and electric parameters of low and moderate duty ore restoring furnaces and working out rational methods of determining performances.
- development and working out technologies for receiving silicate-manganese and low phosphorus dross in low duty furnaces using various ores, space remaining and reducers.

By carried out theoretic and experimental studies optimal electrical and geometric parameters of 5 MVA power ore restoring furnaces were specified and it significantly improved all technical and economic data of silicate and manganese melting.

Results received after studies can be used for modernization of existing low and moderate duty furnaces and projecting new ones.